

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ანგარიში

ნოემბერი 2012 - ივლისი 2013

პატივცემულო კოლეგებო, წარმოგიდგენთ ანგარიშს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ. ვინაიდან გენდერული თანასწორობის საბჭო ახალი მოწვევის პარლამენტის ფარგლებში 2012 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა, მიმდინარე ანგარიში მოიცავს მხოლოდ ამ ცხრა თვიან პერიოდს.

ზოგადი ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ: 2012 წლის 15 ნოემბრის ბრძანებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დაამტკიცა გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა. საბჭოში შედიან იმ დროისათვის არსებული ყველა ფრაქციის წარმომადგენლები, დაცულია გენდერული ბალანსი. შემადგენლობა შემდეგია:

1. კობახიძე მანანა - საბჭოს თავმჯდომარე
2. აგულაშვილი გიგლა
3. ბაქრაძე დავით
4. ბესელია ეკა
5. ბოკუჩავა თინათინ
6. გოზალიშვილი გიორგი
7. დოლიძე ვიქტორ
8. მადრაძე გუგული
9. საჯაია მარიამ
10. სესიაშვილი ირაკლი
11. ყვინიშვილი ნანა
12. ცაგარეიშვილი გია

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მნიშვნელოვანი საქმიანობები და ღონისძიებები

გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისთანავე გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ მხარდაჭერით შედგა პირველი შეხვედრა გაეროს და მისი სააგენტოების წარმომადგენლებთან თბილისში, სასტუმრო ჰოლიდი ინში. შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და განისაზღვრა გაეროს სააგენტოებთან თანამშრომლობის პრიორიტეტები.

შეხვედრის მეორე ნაწილში გენდერული თანასწორობის საბჭო გაეცნო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამ შეხვედრაზე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან დასმული იყო ის საკითხები, რომელიც მათი ინტერესების და საქმიანობის სფეროში შედიოდა: ეთნიკური უმცირესობის ქალთა ხელშეწყობა, ევროპასთან ინტეგრაციის ჭრილში ქალთა ხელშეწყობა და ჩართულობა, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების განხილვა, დევნილი და საზღვრისპირა მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალთა მდგომარეობა, ქალთა გააქტიურება პოლიტიკურ პროცესებში და სხვა საკითხები გენდერული თანასწორობის კუთხით. იყო სამომავლო ურთიერთობებისათვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები, რომ

საბჭოსთან ურთიერთობა გაგრძელდეს თემატურად. ამ შეხვედრას ესწრებოდა წინა მოწვევის პარლამენტის გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილიც, რომელმაც გაგვიზიარა მისი გამოცდილება და პრობლემები, რაც მუშაობაში სერიოზულ შეფერხებას იწვევდა.

2012 წლის 10-11 დეკემბერს ავსტრიაში, ქ. ვენაში ჩატარდა სემინარი „ქალი პარლამენტარებისათვის საპარლამენტო სტრუქტურების გაძლიერება „ სემინარი ორგანიზებული იყო ეუთოსა და დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ(OSCE/ODIHR). გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მოწვეული იყო ამ სემინარზე დასასწრებად. პარლამენტარებმა და ექსპერტებმა სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოადგინეს სხვადასხვა ნაციონალური მოდელები საპარლამენტო სტრუქტურებისა: შვედეთი, ფინეთი, ესტონეთი, ნიდერლანდები. გაიმართა დისკუსიები თემებზე, როგორიცაა ახალი გამოწვევები და შესაბამისი გარემოს მომზადება ქალთა საპარლამენტო სტრუქტურისათვის, საპარლამენტო სტრუქტურის კარგი მაგალითები და ეუთოს როლი ამ ყველაფერში. მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლები ალბანეთიდან, სომხეთიდან, პოლონეთიდან, კოსოვოდან. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება. მოხსენება შეეხებოდა საქართველოს პარლამენტში ქალ წევრთა მაჩვენებლებს, გენდერული საბჭოს შექმნის და საქმიანობის მოკლე მიმოხილვას, ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, აღმასრულებელ შტოში გენდერული თანასწორობის საკითხებში წარმომადგენლობებს და ეროვნულ ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის საკითხების საჭიროებების გათვალისწინებას.

2012 წლის 26 ნოემბერს, ქორთიარდ მარიოტში ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტმა და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ერთობლივად გამართეს სადისკუსიო ფორუმი ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის (2012-2015) განხორციელების პირველ წელს მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით. ღონისძიებას გენდერული თანასწორობის საბჭოდან დაესწრო ქალბატონი გუგული მადრაძე. აღნიშნული სამოქმედო გეგმა საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის დეკემბერში დაამტკიცა. ფორუმზე ძირითადი ყურადღება დაეთმო 2012 წელს ქალთა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სამთავრობო დაწესებულებების მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაწეული ღონისძიებების მიმოხილვას, დისკუსიას თუ როგორ მოხდეს მშვიდობის მშენებლობაში და სახალხო დიპლომატიაში ქალთა უფრო აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წარმომადგენლობის გაზრდა.

ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენელმა ისაუბრა კონფლიქტის გავლენაზე ქალებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე. ინფორმაცია სპეციალური საჭიროებების შესახებ და რეკომენდაციები ხელისუფლებას ასევე წარუდგინეს ქალბატონებმა კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან. ღონისძიება მოეწყო ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის: „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

გენდერული თანასწორობის საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან და მათთან ერთად დაიგეგმა ღონისძიებები: კონფლიქტის კონტექსტში გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის რეფერალური მექანიზმის შემუშავების შესახებ - რეკომენდაციების პრეზენტაცია; შეხვედრა გენდერულ თემატურ ჯგუფთან, რომელიც აერთიანებს გაეროს, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს ვინც დაინტერესებულია და მუშაობს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე; შეხვედრა ქალებს მშვიდობასა და უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესთან დაკავშირებით აღნიშნული გეგმის საკოორდინაციო ჯგუფთან. გაეროს ქალთა ორგანიზაცია გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ასევე მუშაობას ქალთა მიმართ ძალადობის და კონკრეტულად ოჯახში ძალადობის დაძლევის კუთხით; ასევე, განხილული იყო დიდად მნიშვნელოვანი თემა - გენდერული აუდიტის ჩატარების შესაძლებლობა და ვადები პარლამენტში.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მიმდინარეობდა ასევე მუშაობა ისეთ საკითხებზე, როგორცაა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, კერძოდ პრემიერის აპარატში გენდერის საკითხებზე წარმომადგენლის დანიშვნის და შესაბამისად გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისიის შექმნის აუცილებლობაზე.

2012 წლის 6 დეკემბერს შედგა გენდერული თანასწორობის საბჭოს მეორე შეხვედრა. სხდომაზე განიხილეს საბჭოს დებულების პროექტი და შეიტანეს შესწორებები, რაც შეეხებოდა იმ მრავალრიცხოვან დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რომლებიც თავიანთი საქმიანობის ფარგლებში განიხილავენ გენდერული თანასწორობის ასპექტებს. გადაწყდა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს მიეცეს შესაძლებლობა ეს ორგანიზაციები მოიწვიოს თემატურად დაჯგუფებულად, სხვადასხვა საჭიროებების მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანი თემა გახლდათ გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ, მის მოღვაწეობაზე ინფორმაციის განთავსება პარლამენტის საიტზე, რაშიც საბჭოს დახმარებას გაუწევს გაეროს ერთობლივი პროგრამა. ერთობლივი პროგრამის რეკომენდაცია იყო გენდერული თანასწორობის საბჭოს სამდივნოს ჩამოყალიბება. დიდი ყურადღება დაეთმო გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის საკითხს, ახალი გეგმის შემუშავების საფუძვრებს და საქართველოს მთავრობასთან კოორდინირებულად ჩასატარებელ სამუშაოებს. ამ ყველაფრისათვის კი აუცილებლობას წარმოადგენს თითოეულ სამინისტროში გამოიყოს გენდერულ საკითხებზე მომუშავე ადამიანი, ან მინისტრის მოადგილეებს დაეკისროს ეს მოვალეობაც. ასევე დიდი სურვილი გამოითქვა პრემიერ-მინისტრის აპარატშიც გაჩენილიყო მსგავსი გენდერული თანასწორობის საბჭო. ამავე სხდომაზე გადაწყდა, გამართულიყო მოლაპარაკებები დონორებთან გენდერული თანასწორობის საბჭოს ტრენინგების ორგანიზებისათვის.

2012 წლის 17 დეკემბერს გაიმართა მაღალი დონის შეხვედრა ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ. გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლების გარდა შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გაერთიანებული ერების მუდმივი კოორდინატორი საქართველოში ჯეიმი მაკგოლდრიკი, ბ-ნი რიჩარდ ნორლანდი, აშშ-ე ელჩი საქართველოში, ევროკავშირის ელჩი საქართველოში ბ-ნი ფილიპ დიმიტროვი. არასამთავრობო ორგანიზაციები.

2013 წლის 12 თებერვალს შედგა სამთავრობო სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან და რეკომენდაციების პრეზენტაცია სექსუალური და გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის ეროვნული რეფერალური მექანიზმის ჩამოყალიბებაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, UNFPA, UNHCR, UN Women. მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული საქმიანობის გაცნობა.

2013 წლის 13 თებერვალს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შეხვედრაზე დიდი ყურადღება დაეთმო გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობას დონორებთან, მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, იმისათვის, რომ გაგრძელდეს მუშაობა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გასაუმჯობესებლად, ქალთა შრომის უფლებების და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. გაეროს წარმომადგენლების მხრიდან ყურადღება გამახვილებული იყო ეროვნული სამოქმედო გეგმის წერილობითი საქმიანობიდან, რეალურ მოქმედებაზე დროულად გადასვლაზე, ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განათლების, ჯანდაცვისა თუ სხვა კუთხით. დადებითად იყო შეფასებული პრემიერ-მინისტრის კეთილი ნება მთავრობაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მრჩევლის დანიშვნაზე, რადგან ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისას 2012 წელს მნიშვნელოვნად წამოიწია აღმასრულებელ ხელისუფლებაში გენდერული თანასწორობის საკოორდინაციო ჯგუფის არსებობის აუცილებლობა.

2013 წლის 21 თებერვალს გენდერული თანასწორობის საბჭომ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტში უმასპინძლა სამეგრელოს, კერძოდ ფოთისა და ზუგდიდის ლიდერ ქალბატონებს და სამეგრელოში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ქალთა პოლიტიკური აქტივობის გაზრდის და გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ქალების მეტად დასაქმების საკითხები. გენდერული საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა მეტ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. შეხვედრის ორგანიზატორი იყო ქალთა საინფორმაციო ცენტრი.

2013 წლის თებერვალში შედგა შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ამერიკის საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინტიტუტის NDI წარმომადგენლებთან, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი პროექტი პოლიტიკური პარტიების ლიდერ ქალთა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც NDI-ის მრავალპარტიული პროგრამა მოიაზრებს 15-20 ქალის ტრენინგს, რომლებიც პარტიებში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე იმყოფებიან.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის პოტენციური კანდიდატების მომზადებასა და ქალების პოლიტიკურ ლიდერებად ჩამოყალიბებას.

პროგრამის ფარგლებში, ჩატარდება ტრენინგები, რომლებსაც გაუძღვებიან, როგორც ადგილობრივი ასევე მოწვეული ტრენერები და ექსპერტები. პროგრამა აგებულია შემდეგი თემების ირგვლივ: დებატები, პოლიტიკური ანალიზი, ადვოკატირება, ამომრჩევლების მოზიდვა, მედიასთან/საზოგადოებასთან ურთიერთობა, ლიდერობა, აქტივიზმი, საჯარო გამოსვლები, კვლევების ანალიზი და შიდაპარტიული მენეჯმენტი. პროექტი ითვალისწინებს ასევე ქალი კამპანიის ორგანიზატორების მომზადებას.

2013 წლის 27 თებერვალს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ გაეროს ერთობლივ პროგრამასთან - „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ - ერთად *სასტუმრო „ამბასადორში“* ჩატარა კონფერენცია თემაზე: „გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულება. კონფერენციაზე მონაწილეობისთვის სამინისტროებს დაეგზავნა თხოვნა მოეწოდებინათ მინისტრის მოადგილის კანდიდატურა, რომელიც შემდგომში გააგრძელებს საბჭოსთან თანამშრომლობას გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობაში. შეხვედრაზე მოსმენილი იქნა სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში. გენდერული საბჭოს ინიციატივით გადაწყდა შეხვედრების ციკლის ჩატარება ყველა სამინისტროსთან, სადაც განიხილება სამოქმედო გეგმის შესრულება და განისაზღვრება შემდგომი 2014-2016 წლების გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.

2013 წლის 9-10 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭო დაესწრო არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ ფარგლებში დაგეგმილ პროექტს „ქალთა პოლიტიკური ჩართულობა: თანასწორობა და თანამონაწილეობა“. ღონისძიების ფარგლებში განიხილეს სტუდენტების მიერ შემუშავებული შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები გენდერული თანასწორობის კუთხით.

2013 წლის 9-15 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე იმყოფებოდა აშშ-ში, ნიუ-იორკში, გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW) 57 სესიაზე. სესიის მთავარი თემა იყო „ქალთა და გოგონათა მიმართ ყოველგვარი ძალადობის აღმოფხვრა და შემდგომი პრევენცია“, ხოლო პრიორიტეტული საკითხი იყო „გენდერული თანასწორობის მთავარი საკითხები 2015 წლის შემდგომი განვითარების ჩარჩო დოკუმენტში“. ჩატარდა რამდენიმე მაღალი დონის დისკუსია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მონაწილეობა და მოხსენება საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ მდგომარეობის შესახებ; საქართველოს მთავრობის წვლილი ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების მიწოდებაში; სამთავრობო გეგმები ამგვარი კრიზის-ცენტრებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის და სოციო-ეკონომიკური სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებაში.

2013 წლის 14-15 მარტს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მოწვევით გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელი ქალბატონი გუგული მალრადე ესწრებოდა კონფერენციას. ეს გახლდათ გაეროს ქალთა ორგანიზაციის რეგიონალური პროგრამის „ქალები ერთიანდებიან კონფლიქტებს მიღმა“ დასკვნითი კონფერენცია. სადაც მოწვეული იყო ექსპერტები გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან, ეუთოს და დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისიდან, შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრიდან და სხვა დამოუკიდებელი ექსპერტები.

2013 წლის 27 მარტს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ მხარდაჭერით განაახლა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ეროვნულ სამოქმედო გეგმის განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობა.

ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან და სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის. ჯგუფის წევრები არიან: საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ეროვნული უშიშროების საბჭო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საზოგადოებრივი მაუწყებელი და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

2011 წლიდან გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ნორვეგიის მთავრობის მიერ, მხარს უჭერს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს #1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფი ჩამოაყალიბა 2012 წელს.

შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა 2012 წელს შესაბამისი სამთავრობო უწყებების მიერ ეროვნულ სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების ანგარიში.

2013 წლის 10 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე შეხვდა გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს, რომელთანაც განხილული იყო ის პროექტები, რომლებსაც ახორციელებს ეს ორგანიზაცია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად სამი ძირითადი კომპონენტის ფარგლებში: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, მოსახლეობის განვითარება და გენდერი. მათთვის ფრიად მნიშვნელოვანი

აღმოჩნდა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობის გაგრძელება და დაისახა გეგმები სამომავლო თანამშრომლობის და პროექტების ერთობლივად განხორციელებისათვის.

2013 წლის 24 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრაზე განხილული იქნა სამინისტროს რეგიონული სტრატეგია და პროექტი საქართველოს კანონი სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ განხილვის ძირითად საგანს წარმოადგენდა ორივე დოკუმენტში გენდერული ასპექტების გათვალისწინება, რომლის რეკომენდაციები წარმოადგინა გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტის მიერ. შეხვედრაზე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ კანონის პროექტით გათვალისწინებული იქნება მნიშვნელოვანი ცვლილებები სოფლის საზოგადოებრივ თვითმმართველობებში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად.

2013 წლის 19 ივნისს საინტერესო შეხვედრა შედგა გორის მუნიციპალიტეტში. ეს იყო საინფორმაციო შეხვედრა შიდა ქართლში ადმინისტრაციულ სასაზღვრე ზოლთან მიმდებარე სოფლებში ქალთა საჭიროებების მხრივ არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. შეხვედრას გენდერული თანასწორობის საბჭოს გარდა ესწრებოდა გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. განხილული იყო შიდა ქართლში სასაზღვრე ზოლთან მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული სიტუაცია. სოფელ ტირძნისის, ტყვიავის და ნიქოზის თემებში არსებული სიტუაცია წარმოადგინეს შიდა ქართლში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

2013 წლის 18 ივლისს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ეროვნულ საკოორდინაციო ჯგუფთან რიგით მეორე შეხვედრა გამართა.

შეხვედრა მიემდგვნა ეროვნულ სამოქმედო გეგმას „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ . მასზე წარმოდგენილი იყო 2013 წლის იანვარ - ივნისის თვეებში სახელმწიფო უწყებების მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის (გაეროს უშიშროების საბჭოს #1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების მიხედვით) განხორციელების მიზნით, ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფი პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან და სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდროდ თანამშრომლობს. მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

გენდერული თანასწორობის საბჭო ხშირად ესწრებოდა ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (NIMD) საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს რომელიც გენდერულ საკითხებს ეხებოდა, მრავალპარტიული დიალოგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ბიუჯეტის გენდერული მეინსტრიმინგი, ღონისძიებებს მათთან ერთად ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, პოლიტიკური პარტიების და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2013 წლის 16 აპრილს ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო შეხვდა გენდერული თანასწორობის საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს. აღნიშნული შეხვედრა ემსახურებოდა გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერული თანასწორობის ქსელს შორის თანამშრომლობის ფორმატის ჩამოყალიბებას და საქართველოში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას. შეხვედრაზე მოხდა გენდერული თანასწორობის ქსელის წარდგენა. საფუძველი ჩაეყარა მათთან გენდერული საბჭოს ურთიერთთანამშრომლობას. შეხვედრაზე წარმოდგენილნი იყვნენ გენდერული თანასწორობის ქსელის რეგიონული წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ამ ქსელის ძირითადი ინიციატივები ეხება ქალთა გააქტიურებას და თანამონაწილეობას პოლიტიკაში. გენდერული თანასწორობის ქსელის მხარდამჭერია ამერიკის განვითარების სააგენტო, რომელიც ბევრ აქტივობას გეგმავს გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად. მუშობენ არა მარტო არასამთავრობოებთან, არამედ პარტიებთანაც. ასევე აჭარის უმაღლეს საბჭოში ახალი ინსტიტუციური ოფისის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის ინიციატივით ატარებენ სამუშაოს. შეხვედრაზე გადაწყდა „ქალი და პოლიტიკის“ თემატური ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდას და გენდერული თანასწორობის მიღწევას გადაწყვეტილების მიღების დონეზე, ასევე, შესაბამისი საკანონმდებლო სივრცის მოწესრიგებას გენდერული თანასწორობის მიმართულებით. 2013 წლის 3 ივლისს მრგვალი მაგიდის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პარლამენტის გენდერულ საბჭოსა და გენდერული თანასწორობის ქსელს შორის.

საკანონმდებლო ინიციატივები

გენდერული თანასწორობის საბჭომ გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად პარლამენტის საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფს განსახილველად გადასცა 2 საკანონმდებლო ინიციატივა:

. თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, (თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი იყო ქალი, მაშინ მისი ადგილმონაცვლე იქნება სიაში რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ქალი,) თუ მან

ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი და ა. შ. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი აღარ არის, პარლამენტის წევრის ეს მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება.

ეს ცვლილება პარლამენტში შეიტანა გენდერული საბჭოს წევრმა ე. ბესელიამ. თუმცა შემდგომ განსახილველად გადაეცა საქართველოს პარლამენტის საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფს. აქ მას შეხვდა წინააღმდეგობა და სასწრაფოდ მომზადდა მეორე ინიციატივა სადაც იმპერატიული ფორმა გაჩნდა შემდეგი ფორმულირებით:

. პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები. პარტიული სიის შედგენისას, გენდერული ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილი უნდა იყოს სულ მცირე 30%-ით. არჩევნების შედეგების მიხედვით პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება თანამიმდევრობით, სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით.“

24 აპრილს გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შედგა გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრა საპარლამენტო ინტერფრაქციულ ჯგუფთან და პარტიებთან, რომლებიც გაერთიანებული არიან „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად“ პლათფორმის გარშემო. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ორივე ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში: ინიცირება კვოტირებასთან დაკავშირებით და ასევე ინიციატივა, დროებით ღონისძიებას, პარლამენტიდან გასული ქალბატონების ნაცვლად ისევ ქალბატონებით ჩანაცვლებას პარტიული სიიდან. გაიმართა დისკუსია წარმოდგენილ დეპუტატებსა და არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებს შორის. საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა როგორც პარტიების წარმომადგენლებიდან ასევე დამსწრე გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლის მიერ. გადაწყდა კვოტირების ნაცვლად განხორციელდეს არამალდატანებითი, წამახალისებელი მოქმედება. გაიზარდოს ფინანსური წახალისება იმ პარტიებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით გამოყოფს ქალბატონებისათვის კვოტას თავის საარჩევნო სიაში, ხოლო მიღებული თანხის გარკვეულ პროცენტს დახარჯავს პარტიის ქალთა ორგანიზაციის გაძლიერებაში. ასევე კარგი იქნება, თუკი პარტიების თავმჯდომარეები მოაწერენ ხელს მემორანდუმს, დასტურად იმისა, რომ ისინი მზად არიან დააწინაურონ ქალბატონები ყოველგვარი კვოტების გარეშე.

აქედან გამომდინარე შეიქმნა მესამე ინიციატივა. წინა მოწვევის პარლამენტმა ვენეციის კომისიის დასკვნის საფუძველზე და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ვიცესპიკერის რ. კერვალიშვილის აქტიური ლობირებით მიიღო შემდეგი კანონი:

“მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ” კანონში ახალი მუხლის (30 მუხლის 7¹ პუნქტი) თანახმად, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით

დადგენილი წესით, მიიღებს დაფინანსებაზე დანამატს 10 პროცენტის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში) ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30 პროცენტით.”

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფში დღეს ეს კანონი წარდგენილია განსახილველად შემდეგი ფორმულირებით:

“მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ” კანონში ახალი მუხლის (30 მუხლის 7¹ პუნქტი) თანახმად, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს დაფინანსებაზე დანამატს 30 პროცენტის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში) ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30 პროცენტით.”

კანონპროექტი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ მხარდაჭერით და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საბჭოს ინიციატივით, ოჯახში ძალადობის საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერების, ასევე 2011 წლის 12 აპრილს, ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ “ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ” კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) და ამ კონვენციით აღიარებული პრინციპებისა და ნორმების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის მიზნით მომზადდა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საბჭოს წევრის ქალბატონი გუგული მალრაძის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერების მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს რიგ ცვლილებებს შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;

საქართველოს პატიმრობის კოდექსი;

საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“;

საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“;

საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ” საქართველოს კანონი;

საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“;

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“.

კანონპროექტის მიხედვით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება ნორმები, რომლის მიხედვითაც დამატებით განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის უფლებები და მათი დაცვის გარანტიები.

2014-2016 წლების გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა

გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთ-ერთი ამოცანაა შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი. აქედან გამომდინარე საბჭომ დაიწყო მუშობა ახალი 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესამუშევრებლად. გადაწყდა სამუშაო გაიყოს რამოდენიმე ეტაპად. თავდაპირველად საქართველოს მთავრობიდან უნდა იყოს წარმოდგენილი მათი სტრატეგიები და ხედვები გენდერული თანასწორობის ჭრილში. მათი დამუშავების და გეგმის სახის მიცემის შემდეგ დაიგზავნება სადისკუსიოდ და კომენტარებისათვის სამოქალაქო საზოგადოებასა და დონორებთან. შემდეგ მოხდება კომენტარების გათვალისწინება. საბოლოო სახე წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად.

ამ სამუშაოს დასაწყებად **2013 წლის 25- 26 აპრილს** შედგა შეხვედრები. მოწვეული იყვნენ ყველა სამინისტროს წარმომადგენლები, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები, წინა მოწვევის პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე. სამინისტროებიდან წარმომადგენლებმა წარმოადგინეს კონკრეტული ხედვები, საჭიროებები და სტრატეგიები, რაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას 2014-2016 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. მთავარი ხარვეზი რაც უმეტესობა სამინისტროს ძირითადი დამახასიათებელია, არ არსებობს ანალიზი, რომლის მიხედვითაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნები. გენდერული ანალიზის არ შესრულების მთავარი პირობა კი საჭირო სპეციალისტების არ არსებობამ განაპირობა. ყველას დიდი სურვილია ჩატარდეს იმ თანამშრომელთა გენდერული ტრენინგები, რომლებიც ჩართულები არიან თავიანთ სამინისტროებში გენდერულ საკითხებში და ტრენინგების გავლის შემდგომ შეძლებენ მეტი პასუხისმგებლობით და კვალიფიციურად შეასრულონ დაკისრებული საქმიანობა, ასევე ინტენსიურად ითანამშრომლონ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან .

საბჭოს წევრების უნარ-ჩვევების ამაღლება

2012 წლის 29-20 ნოემბერს გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ქალბატონი პარლამენტარებისათვის ჩატარდა ტრენინგი „ქალურად მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები“.

2013 წლის 9-10 თებერვალს გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩაუტარდა ტრენინგი გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ხელშეწყობით. ტრენინგის საკითხები იყო: გენდერული თანასწორობის პრინციპები, მედიასთან ურთიერთობა, საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის ძირითადი გზავნილების შემუშავება, საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის და გეგმის შემუშავება.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა: უზრუნველყოს საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით.

გენდერული საბჭო აქტიურად ჩაებმევა კანონპროექტების გენდერულ ანალიზში და მიზნად ისახავს პარლამენტის საქმიანობის ყველა სფეროში გათვალისწინებული იქნას გენდერული ასპექტები. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე პარლამენტის წლევანდელი ბიუჯეტი არ იძლევა საშუალებას მოვიწვიოთ ექსპერტები, საბჭომ შეთანხმებას მიაღწია გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამისთან საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიის განმავლობაში კონკრეტულ თემებზე მხარდაჭერის შესახებ. უკვე განხორციელდა სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის კანონის ანალიზი, იგეგმება განათლების სფეროს კანონმდებლობის, შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების გენდერული ანალიზი. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს, პარლამენტის თანამშრომლების ტრენინგს საკანონმდებლო პროექტების მომზადებისას გენდერული ასპექტების გათვალისწინების შესახებ. ყველა კომიტეტის აპარატიდან წარმოდგენილ იქნა ერთი სპეციალისტის კანდიდატურა. დასახელებული კანდიდატები დატრენინგდნენ გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით და შეიძინეს აუცილებელი უნარები კანონმდებლობის გენდერული ანალიზის გასაკეთებლად.

გაეროს ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით, საბჭო გეგმავს საქართველოს 2014 წლის ბიუჯეტის გენდერული ანალიზის ჩატარებას, რისთვისაც საბჭოს წევრებს ჩაუტარდება სპეციალური ტრენინგი ამა წლის შემოდგომაზე.

ამავე დროს, გენდერული საბჭოს წინადადებით, პარლამენტის 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება თანხა საბჭოსთვის მოკლევადიანი საკონსულტაციო მომსახურების დასაფინანსებლად.